საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 9 21 0001256430

22/11/2021

პროფესიული მომზადების პროგრამის „საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა AutoCad-1 (2d LT) “ ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის თაობაზე სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) ელექტრონულ სისტემა qms-ში წარმოდგენილ იქნა განაცხადი (ID: 01253) პროფესიული მომზადების პროგრამის „საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა AutoCad-1 (2d LT) “ელექტრონულ სისტემაში (QMS) რეგისტრაციის თაობაზე.

2021 წლის 5 ნოემბერს დაწესებულებას გაეგზავნა ხარვეზის წერილი და განესაზღვრა გამოსასწორებელი ვადა. დაწესებულებამ 9 ნოემბერს გამოაგზავნა დოკუმენტაცია ხარვეზის გამოსწორების შესახებ, სადაც განმეორებით დაფიქსირდა ერთი ხარვეზი, კერძოდ, განაცხადში არ არის მითითებული სწავლის ვიწრო სფეროს კოდი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტის 2021 წლის 18 ნოემბრის №1242683 სამსახურებრივი ბარათის, “პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში - მთავრობის №131 დადგენილება) მე-12 მუხლის მე-5 პუნქტისა და 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განუხილველად იქნას დატოვებული სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ს/კ: 212693049) მიერ 2021 წლის 2 ნოემბერს ელექტრონულ სისტემა QMS-ში წარმოდგენილი განაცხადი პროფესიული მომზადების პროგრამის „საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა AutoCad-1 (2d LT)“ ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის თაობაზე (ID: 01253).

2. დაევალოს ფინანსური უზრუნველყოფის სამმართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.
3. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
მარგიშვილი ლაშა